

მარხვა არის ორი ნაწილი

სავალდებულო: ეს არის რამადანი
გამოსასყიდი და შეპირებული

ნებაყოფლობითი:
სხვა დანარჩენი

**მარხვის
განმარტება:**

მარხვა არის ალლაჰისთვის **عز وجل** თაყვანისცემა საჭმელის
სასმელის და სხვა მარხვის მომშლელი ფაქტორებისაგან
თავშეკავებით ზუსტი განთიადის დადგომიდან მზის ჩასვლამდე

მარხვას აქვს ორი ბურჯი:

1 განზრახვა

სავალდებულო მარხვის განზრახვა:

სავალდებულო მარხვაში განზრახვა
აუცილებლად უნდა შედგეს ღამით - ანუ
ფაჯრის მოსვლამდე - საკმარისია ერთი
განზრახვა რამადანისთვის დასაწყისში.
მისი ადგილი გულია. მისი ენით
წარმოთქმა ბიდათია.

**ნებაყოფლობითი
მარხვის განზრახვა:**

ამ მარხვის განზრახვა
სწორია თუნდაც შედგეს
დღის ნებისმიერ დროს თუ
მარხვას არ დაარღვევს.
მაგრამ საზღაური
გამოითვლება განზრახვიდან.

2

**მარხვის
მომშლელი
ფაქტორებისაგან
თავშეკავება**



**ზოგიერთი რამე, რაც
მარხულისათვის
დაშვებულია:**

- საჭიროებისამებრ
საჭმელის გემოს
გასინჯვა
- ნერწყვის გადაყლაპვა
- დაბანა
- სივაქი
- სუნამო
- გაგრილება

1- შეგნებულად ჭამა ან დალევა. ვისაც დაავიწყდება,
მისი მარხვა სწორია.

2- სქესობრივი კავშირი. თუ ეს მოხდება რამადანში დღისით, როცა მარხვა
მასზე სავალდებულოა, მას ევალება მძიმე გამოსასყიდი.

3- სპერმის გამოშვება 4- ჭამის და სმის შემცველი როგორცაა მკვებავი ნემსი

5- ჰიჯამით სისხლის ამოღება

6 - შეგნებულად ღებინება

7 - მენსტრუაცია და მშობიარობის შემდგომი სისხლდენა

მარხვას არღვევს:

სავალდებულო მარხვის პირობები:

1 - ისლამი

2 - გონება

3- ზრდასრულობა. არაზრდასრული წახალისება მარხვაში რასაც უბრძანებს მისი მეურვე

4 - შინ ყოფნა: არ ევალება მარხვა მგზავრს. უმჯობესია მგზავრმა იმარხულოს თუ არ
გაურთულებს, მაუწყებლის **عز وجل** ქმედებისამებრ. რადგან ეს უფრო სწრაფია
ვალდებულების აღსასრულებლად, უფრო მარტივია მარხვა დაკისრებულზე და თვის
მადლის მისაღებად.

5 - ჯამრთელობა

6 - მენსტრუაცია და მშობიარობის შემდგომი სისხლდენისაგან
თავისუფალი ყოფნა

მარხულის ეკრძალება:

- 1- ნახველის გადაყლაპვა რაც არ არღვევს მარხვას
- 2- კოცნა იმისათვის ვინც ვერ დაიცავს თავს მარხვის
მომშლისაგან 3- ცრუ სიტყვა (ეს არის ყველა აკრძალული
ქმედება) 4- უმეცრება (ეს არის უგუნურობა) 5- გადაბმული
მარხვა (ორი გადაბმული დღის პირის გაუხსნელობა)

მარხვისას მოუწონარია:

- 1- გადაჭარბება პირისა და ცხვირის
გამოვლებისას
- 2- არასაჭიროებისამებრ საჭმელის
გემოს გასინჯვა